ოქმი N10

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 27 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. გოჩა სიჭინავა
2. იგორ გოგოლაძე
3. მალხაზ ლაგვილავა
4. კახა ლატარია
5. ფრიდონ შონია
6. ბეჟან ქირია
7. ალექსანდრე ნაჭყებია
8. გენადი ზარანდია
9. გენადი ქაძანაია
10. მალხაზ ყურუა
11. მერაბ ნადარაია
12. ედიშერ წურწუმია

სხდომას თავმჯდომარეობდა გ. სიჭინავა - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 20 ოქტომბრის N05/1750 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 20 ოქტომბრის N05/1770 და 23 ოქტომბრის N05/1772 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -12, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 20 ოქტომბრის N05/1750 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა განაცხადა, გამგებლის წერილში განმარტებულია, რომ გამგეობაში შევიდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი, ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 45.14.24.292) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში მისი ქვემო ქვალონის N1 საჯარო სკოლისთვის გადაცემის მიზნით. საკითხი შესწავლილ იქნა გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ და მათი დასკვნის საფუძველზე მომზადებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. მომხსენებელმა სთხოვა კომისიის წევრებს გამოეთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი საკითხი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 20 ოქტომბრის N05/1750 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მსუბუქი ავტომანქანა ტოიოტა „ქემრი" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 2 ივლისის N164 და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 1 აგვისტოს N350 ბრძანებების თანახმად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, დროებით უსასყიდლო სარგებლობით, თხოვების ფორმით გადაცემული იყო საქართველოს შს სამინისტროზე. 2015 წლის 1 აგვისტოდან შს სამინისტროდან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამოყოფის შემდეგ, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა გამგეობისგან 2015 წლის 25 აგვისტოს N1866860 წერილით ითხოვა ზემო აღნიშნული ავტომანქანის მათი სამსახურეობრივი ფუნქციონირების შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველსაყოფად, თხოვების ფორმით ორი წლის ვადით გადაცემა, რაც განხილულ იქნა გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მიერ და მათი მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ზემო აღნიშნული მოთხოვნა, რის საფუძველზეც მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. მომხსენებელმა სთხოვა კომისიის წევრებს გამოეთქვათ მოსაზრება

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი საკითხი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა სიჭინავა